



სოფელ ცოდნისკარი-თელა-პატარაგორის გზის (ლაგოდები მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის ქვეპროექტი

გარემოსდაცვითი და სოციალური
სკრინინგი და გარემოსდაცვითი
ღონისძიებების გეგმა

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების
მეორე პროექტი
დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მიერ

თბილისი, საქართველო

სექტემბერი 2015

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტის სამშენებლო ადგილი მდებარეობს კახეთის რეგიონში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისიდან 150 კმ დაშორებით. ქვე პროექტი ითვალისწინებს საავტომობილო გზის რეაბილიტაციას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ცოდნისკარის თემში შემავალ სოფლებში, თელასა და პატარა გორში. სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთი იწყება სოფლების წიფლისწყაროს და ჩადუნანის დამაკავშირებელი წერტილიდან და გადის სოფლებზე თელა და პატარა გორი. გზის ერთი მონაკვეთი გადის სოფელ თელაზე და მთავრდება კართუბანი-ბაისუბანი-ნინიგორის საავტომობილო გზაზე, ხოლო მეორე მონაკვეთი უკავშირდება სოფელ პატარა გორს რომელიც საბოლოოდ ასევე უერთდება კართუბანი-ბაისუბანის-ნინიგორის საავტომობილო გზას. სარეაბილიტაციო გზის სრული სიგრძეა 6. 066 კმ.

ქვე პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთები აშენებულია რამდენიმე ათეული წლის წინ. ამჟამად ასფალტის საფარი დაზიანებულია წვიმებისა და თოვლის შედეგად. დაზიანებული გზა ართულებს ტრანსპორტის ნორმალურ მოძრაობას, რაც ზრდის გამონაბოლქვს და აზინძურებს გარემოს. შეთავაზებული ქვე პროექტი მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებულია პრიორიტეტულ პროექტად.

ქვე პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

ძველი დაზიანებული საფარის მოხსნა;

- დაზიანებული მიწების დემონტაჟი ეზოების შესასვლელებში და გზაჯვარედინებზე (მათ შორის ასბესტის მიწები დ=200-400მმ მთლიანი სიგრძით 477მ)
- გზის რეაბილიტაცია (და მარკირება)
- ბეტონის კიუვეტების დამონტაჟება -9,348 მ;
- გზებთან მიერთებების და ეზოების შესასვლელების მოწყობა.

ქვე პროექტის განხორციელების ხანგრძლივობაა 6 თვე.

(A) ზემოქმედების იდენტიფიცირება

<p>ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე პროექტს მოსალოდნელია გარემოზე ქონდეს მოკლე ვადიანი უარყოფითი ზეგავლენა, ხოლო მისი გრძელვადიანი ზეგავლენა იქნება დადებითი, რაც უკავშირდება სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესებას სოფელ თელასა და პატარა გორში, ასევე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება როგორცაა მტვერი, გამონახოლქვი მანქანების მოძრაობიდან წარმოქმნილი ხმაური.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>ქვე პროექტს ექნება გრძელ ვადიანი დადებითი გარემო და სოციალური ზემოქმედება, რაც გამოიხატება საცხოვრებელი და სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესებით ადგილობრივი მოსახლეობისათვის. შემცირდება არსებული უარყოფითი ზემოქმედება თემებსა და მიმდებარე გარემოზე.</p> <p>ძირითადი გარემო და სოციალური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო ფაზასთან რომელიც მოიცავს ძველი დაზიანებული საფარის მოშორების სამუშაოებს, სხვადასხვა ქვიშა ხრეშოვანი საფარის და ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობას, მაღალი ტვირთამწეობის მანქანების მოძრაობას, ოპერირებას და მასალების მოწოდებას.</p> <p>ქვე პროექტი განხორციელდება ურბანულ ადგილზე, ძველი ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ძლიერ შეცვლილ გარემოში. აქედან გამომდინარე ზემოქმედება როგორცაა ხმაური, გამონახოლქვი, სამშენებლო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა (აზბესტი - ეზოების შესასვლელიდან და გზაჯვარედინებიდან მოხსნილი მიწები) სატრანსპორტო საშუალებების და მისასვლელი გზის დროებითი შეფერხება, სამშენებლო ფაზაში არის დროებითი და უმნიშვნელო რომლის შემსუბუქებაც მარტივად განხორციელდება ქვე პროექტის გარემოს მართვის გემაში არსებული შესაბამისი შემამსუბუქებელი ზომების განხორციელებით.</p>

<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშე მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>გრძელ ვადიანი დადებითი სოციალური ზემოქმედება იქნება სასიკეთო (ადგილობრივი მოსახლობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება). პროექტის განხორციელება სასიკეთო იქნება სრულიად ლაგოდების მუნიციპალიტეტისა და მიმდებარე მუნიციპალიტეტების სოციალური ჯგუფებისათვის, მას შემდეგ რაც გზის ბოლოს მდებარეობს კაბალას ბაზრობა სადაც კვირაობით მრავალი მყიდველი იყრის თავს. ასევე შემცირდება მანძილი და დრო თემების წევრებისათვის რადგანაც მოხდება 20 კმ გზის (ამჟამად გამოიყენება ალტერნატიული სამანქანე გზა) 5 კმ-მდე შემცირება. ქვე-პროექტის შედეგად ასევე მოხდება საწვავის მოხმარების შემცირება და მინიმუმამდე დავა ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯები. პროექტს დადებითი ზემოქმედება ექნება ჯანმრთელობის კუთხით (მტვერის გამონაბოლქვის, ვიბრაციისა და ხმაურის მინიმუმამდე შემცირება). ის ასევე ხელს შეუწყობს ტურიზმისა და მცირე ბიზნესის განვითარებას და შექმნის დასაქმებისა და შემოსავლების შესაძლებლობებს.</p> <p>სამშენებლო სამუშაოების მანძილზე არსებობს არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების რისკი (ცენტრალური გაზომარაგების, წყალმომარაგების და ელ მომარაგების სისტემები და ინტერნეტის კაბელები) რომლებიც განთავსებულია გზის გვერდულელებში.</p> <p>არანაირი მიწის შესყიდვა ამ განსახლება მოსალოდნელი არ არის.</p> <p>ზემოთ აღწერილ შესაძლო შეწუხებებთან დაკავშირებული ნეგატიური ზემოქმედებები იქნება მოკლე ვადიანი და შეზღუდული სამშენებლო ადგილზე.</p>
--	--

(A) შემამსუბუქებელი ზომები

<p>განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?</p>	<p>იმის გათვალისწინებით რომ ქვე პროექტი ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას განხილულ იქნა მხოლოდ გზის საფარის სახეობები.</p> <p>ვარიანტი II: ცემენტ ბეტონის საფარი სისქით 18 სმ, ამ ვარიანტისათვის საჭიროა უფრო მაღალი კაპიტალური ხარჯები ვიდრე ასფალტ ბეტონის საფარისათვის; უფრო მეტიც ბეტონის გზა- გამყოფების შემთხვევაში საჭიროა მთლიანი ბეტონის ფილის ჩანაცვლება, კაპიტალური ხარჯი: 3 230 917.5 (\$1 435 963).</p>
---	--

	<p>მგფ-ს მიერ შემუშავებული ნაკლები დანახარჯის ანალიზის საფუძველზე გადაწყდა რომ ვარიანტი 1 სრული რეაბილიტაცია არის საუკეთესო ალტერნატივა, რადგანაც მოიცავს უმცირეს ფინანსურ და ეკონომიკურ ხარჯებს. ამგვარად რეკომენდირებულია ვარიანტი 1 -ის განხორციელება.</p>
<p>რა სახის შემამსუბუქებელი ზომებია შეთავაზებული?</p>	<p>სამშენებლო ფაზის მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემსუბუქება მარტივია. კონტრაქტორი პასუხისმგებელია ნარჩენები გაიტანოს ნებადართულ ტერიტორიაზე, გამოიყენოს კარიერის მასალა მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან, მოახდინოს წყლის და ნიადაგის დაბინძურების პრევენცია, სამუშაოების/მომარაგების, ტრანსპორტის მართვის, სამშენებლო მანქანების და ა.შ. სათანადო დაგეგმვით თავიდან აიცილოს მოსახლეობის შეწუხება (ხმაური, მტვერი, გამონაბოლქვი)</p> <p>მოხსნილი აზბესტი (მიღები მთლიანი სიგრძით 477 მ) უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე სამინისტროსთან და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან წერილობითი შეთანხმების შესაბამისად.</p>
<p>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</p>	<p>მგფ-ს დიდი გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის გზების და ქუჩების რეაბილიტაციის ქვე-პროექტების განხორციელებაში. წარსული მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილების საფუძველზე პროექტი ითვალისწინებს არამხოლოდ გზის საფარის რეაბილიტაციას არამედ ასევე ჩამდინარე წყლების სადრენაჟე ქსელის რეაბილიტაციას, მიერთებებს, ნიშნების დამონტაჟებას რაც გაზრდის როგორც სატრანსპორტო ასევე ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას.</p> <p>არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების თავიდან ასაცილებლად წინასწარ უნდა მოხდეს დაგეგმილი სამუშაოებისა და თარიღების შეთანხმება ოპერატორ კომპანიებთან ხოლო მათ მიწის სამუშაოების საზედამხედველოდ უნდა უზრუნველყონ პასუხისმგებელი პირები იმ ადგილებში სადაც გადის მიწისქვეშა კომუნიკაციები.</p>

<p>ჩართული იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა?</p>	<p>პროექტი შემუშავდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან კონსულტაციებით და როგორც საპასუხო მოქმედება მიმდინარე სიტუაციაზე.</p> <p>ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ და არ აქვთ პრეტენზია დროებით შემაწუხებელ ფაქტორებთან დაკავშირებით.</p> <p>ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმა ხელმისაწვდომი იყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის და მისი საჯარო განხილვა ჩატარდა 2015 წლის 25 სექტემბერს, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, სოფ. ცოდნისკარში ორგანიზებულ შეხვედრაზე.</p>
---	--

(C) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		Yes	No
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შექმნა (საზოგადოებრივი ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ??		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლეული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			

ნაწილი ა: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II
ქვე-პროექტის დასახელება	სოფელ ცოდნისკარი-თელა-პატარაგორის გზის რეაბილიტაცია (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)
საქმიანობები ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>ქვე პროექტი ითვალისწინებს საავტომობილო გზის რეაბილიტაციას სოფელ თელასა და პატარაგორში ცოდნისკარის თემში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთი იწყება სოფლების წიფლისწყაროს და ჩადუნიაანის დამაკავშირებელი წერტილიდან და გადის სოფლებზე თელა და პატარა გორი. გზის ერთი მონაკვეთი გადის სოფელ თელაზე და სრულდება კართუბანი-ბაისუბანი-ნინიგორის საავტომობილო გზაზე, ხოლო მეორე მონაკვეთი უკავშირდება სოფელ პატარა გორის რომელიც ასევე უერთდება კართუბანი-ბაისუბანი-ნინიგორის საავტომობილო გზას. სარეაბილიტაციო გზის სრული სიგრძეა 6.066 კმ.</p> <p>ქვე პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთები აშენებულია რამდენიმე ათეული წლის წინ. ამჟამად ასფალტის საფარი დაზიანებულია წვიმებისა და თოვლის შედეგად. დაზიანებული გზა ართულებს ტრანსპორტის ნორმალურ მოძრაობას, რაც ზრდის გამონახოლქვს და აზინძურებს გარემოს.</p> <p>ქვე პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:</p> <p>ძველი დაზიანებული საფარის მოხსნა.</p> <p>დაზიანებული მიწების დემონტაჟი ეზოების შესასვლელებში და გზაჯვარედინებზე (მათ შორის აზბესტის მიწები დ=200-400მმ მთლიანი სიგრძით 477მ)</p> <ul style="list-style-type: none"> • გზის რეაბილიტაცია (და მარკირება) • ბეტონის კიუვეტების დამონტაჟება -9,348 მ; • გზებთან მიერთებების და ეზოების შესასვლელების მოწყობა.

	ქვე-პროექტის განხორციელების ხანგრძლივობაა 6 თვე.		
ინსტიტუციონალური სტრუქტურა (WB)	ჯგუფის უფროსი: ქსიოლან ვანგი	უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე	
განხორციელების სტრუქტურა (სესხის ამღები)	განმახორციელებელი ორგანო: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოების ზედამხედველი: Consulting company Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain	სამუშაოების კონტრაქტორი: ალიანსი შპს „ლაგოდებავტოგზა“ და „გზამშენი 2005“
სამშენებლო ადგილის აღწერა			
დაწესებულების დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ლაგოდების მუნიციპალიტეტი		
დაწესებულების მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	25, 26 მაისის ქუჩა, ლაგოდები, საქართველო 2700 ტელ: 0354222666; 0354223594; ელ. ფოსტა: Lag_gamgeoba@yahoo.com ქვე პროექტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის რეგიონში ცოდნისკარის თემის სოფელ თელასა და პატარა გორში. მანძლი თბილისამდე არის დაახლოებით 150 კმ ხოლო ლაგოდებამდე - 11 კმ.		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? (ოფიციალური/არაოფიციალური?)	სარეაბილიტაციო გზის გასხვისების ზოლი მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია.		
ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა	ქვე პროექტის სამშენებლო ადგილი მდებარეობს ლაგოდების მუნიციპალიტეტში, აღმოსავლეთ საქართველოში. სამშენებლო ადგილთან დაკავშირება შესაძლებელია თბილისი-ლაგოდები-ბაკურციხის საავტომობილო გზის საშუალებით. მანძილი თბილისიდან არის დაახლოებით 150 კმ. სარეაბილიტაციო გზის მთლიანი სიგრძეა 6.066კმ.გზა ძირითადად გადის საცხოვრებელ სახლების და სასოფლო სამეურნეო მიწების გასწვრივ. სოფელი მდებარეობს ზღვის დონიდან 380 მ სიმაღლეზე. მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკას, დასავლეთით კი ყვარლის მუნიციპალიტეტს,		

ჩრდილოეთით დადესტნის ავტონომიური რესპუბლიკას ხოლო სამხრეთით სინალის და გურჯაანის მუნიციპალიტეტებს. მუნიციპალიტეტის სული ფართობია 890,2 კმ². ტერიტორიის 38 979 ჰექტარი მიეკუთვნება სამეურნეო მიწას რომელიც არის სრული მიწის ფართობის 44%. 41 162 ჰექტარი (46%) უჭირავს ტყეებს.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ქალაქი ლაგოდეხი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ხასიათდება სამუალო ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით, ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. წლიური საშუალო ტემპერატურაა 13°C. წლიური ნალექი იცვლება 650 მმ დან 1080 მმ-მდე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებით. მთავარი ჰიდროლოგიური ქსელი წარმოქმნილია მდინარე ალაზნიდან, რომელიც მიედინება გურჯაანის და სილნალის საზღვრებზე. მუნიციპალიტეტში სხვა მნიშვნელოვანი მდინარეებია აბალი, მაციმისწყალი, ლაგოდეხიწყალი, არესი და აპენისხევი.

თემი მდებარეობს ადმინისტრაციული ცენტრიდან (ლაგოდეხიდან) 17 კმ მანძილის დაშორებით. ცოდნისკარის აღმოსავლეთ თემის ნაწილი ესაზღვრება აზერბაიჯანს, დასავლეთით ვარდისუბანის თემს, სამხრეთით ბაისუბანის თემს, ჩრდილოეთით კი ნინიგორის თემს. სასოფლო სამეურნეო მიწები მოიცავს 2395 ჰექტარს, კულტურები -1789 ჰექტარს, მრავალწლოვანი მცენარეები-175 ჰექტარს, სამოვრები -89 ჰექტარს ხოლო ტყეები-678 ჰექტარს.

თემის სოფლები ელექტრიფიცირებულია, ელექტრო ენერჯით მომარაგება უზრუნველყოფილია 24 საათის მანძილზე. ორ სოფელში არ განხორციელებულა გაზიფიცირება. ყველა თემის შიდა გზებს ესაჭიროება შეკეთება. არსებობს ერთი პირველადი დახმარების პუნქტი, სამი სკოლა და სამი საბავშვო ბაღი. შემდეგი ობიექტები ოპერირებენ კაბალას თემის მახლობლად რომელიც მდებარეობს ცოდნისკარის თემიდან 12 კმ მანძილის დაშორებით: ქვიშა ხრემის კარიერი სამი ქვის სამტეხლო,2 ასფალტის ქარხანა.

თემიდან 4 კმ მანძილზე იმართება კვირის ბაზრობა; ასევეა ორი ღვინის ქარხანა. თემში არ არის კულტურული ადგილი რაც წვლილს შეიტანს ახალგაზრდა თაობის მიგრაციისთვის. გენდერული ბალანსი დარღვეული მიუხედავად იმისა რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილს წამოადგენს მდედრობითი სქესი.

	<p>ქალების მიერ იმართება მცირე ბიზნესი და ძირითადად დაკავებულნი არიან საგანმანათლებლო საქმიანობებით. მოსახლეობისათვის მეურნეობა არის შემოსავლის ძირითადი წყარო, დაახლოებით 30 % ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნება. თემში არ ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან?</p>	<p>სამშენებლო ადგილზე წყალმომარაგების უზრუნველყოფა ხელმისაწვდომია ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან.</p> <p>მანძილი უახლოესს ლიცენზირებულ კარიერამდე დაახლოებით 10-15 კმ.</p> <p>მანძილი მუნიციპალურ ნაგავსაყრელამდე 15 კმ.</p>
<p>კანონმდებლობა</p>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი.</p> <p>ქვე-პროექტი მიღებულია ლაგოდების მუნიციპალიტეტის მიერ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოსდაცვით შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); (iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის ქარხნისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); (iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული სამშენებლო ნარჩენები (მოჭრილი მიწა, სედიმენტები) განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით

	<p>უნდა შეთანხმდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობასთან;</p> <p>(v) ამოღებული აზბესტის მილები (d=200-400მმ, საერთო სიგრძე - 477 მ) უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.</p> <p>(vi) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე კონტრაქტორსა და შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ შორის ხელშეკრულების საფუძველზე.</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის (არსებობის შემთხვევაში) ასლები, ასფალტის/ბეტონის ქარხნის ექსპლოატაციის ნებართვები და ნარჩენების განკარგვის ნებართვები თანდართული იქნება წინამდებარე გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმაზე, კონტრაქტორის შერჩევის და მისი ობიექტზე მობილიზაციის შემდეგ.</p> <p>დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.</p>
საჯარო კონსულტაცია	
<p>სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?</p>	<p>ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმა ხელმისაწვდომი იყო ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის და მისი საჯარო განხილვა ჩატარდა 2015 წლის 25 სექტემბერს, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, სოფ. ცოდნისკარის საჯარო სკოლაში ორგანიზებულ შეხვედრაზე.</p> <p>შეხვედრის ოქმი თანდართულია დოკუმენტზე.</p>
დანართები	
<p>დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილის რუკა დანართი 2: სარეაბილიტაციო გზის ფოტომასალა დანართი 3: საჯარო კონსულტაციის ოქმი</p>	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	საქმიანობა/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ საქმიანობას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შეძენა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების განკარგვა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

საქმიანობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი
<p>0. ზოგადი პირობები</p>	<p>ინფორმირება და მუშახელის უსაფრთხოება</p>	<p>(a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის;</p> <p>(b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით;</p> <p>(c) მოპოვებულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა;</p> <p>(d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველსაყოფად;</p> <p>(e) მუშახელის პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხურათ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთათ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები);</p> <p>(f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.</p>
<p>A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო საქმიანობები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<p>(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად;</p> <p>(b) პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით;</p> <p>(c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე (ტროტუარები, გზები);</p> <p>(d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო და სხვა ნარჩენების დაწვა ღია ცის ქვეშ;</p> <p>(e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა;</p> <p>(f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით.</p>
	<p>ხმაური</p>	<p>(a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელებით მხოლოდ დღის საათებში;</p> <p>(b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი უბნებიდან;</p> <p>(c) სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოძრაონ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით;</p> <p>(d) უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე;</p> <p>(e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი;</p>

საქმიანობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი
	წყლის ხარისხი	<p>(g) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მაყუჩები.</p> <p>(a) კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწიოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც წყალგაუმტარი მასალით დაცული უნდა იქნეს წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს. გატარებული უნდა იქნეს ნატანის კონტროლის ღონისძიებები როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან ლამის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის ნატანის ჩარეცხვას სამშენებლო ტერიტორიიდან ახლომდებარე წყლის ობიექტში.</p> <p>(b) მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე;</p> <p>(c) მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა, ისე რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტიით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით.</p> <p>(d) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტიით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი).</p> <p>(e) არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა ნებისმიერ წყლის ობიექტში.</p>
	ნარჩენების განკარგვა	<p>(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები;</p> <p>(b) ინერტული სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინერტული სამშენებლო ნარჩენების უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო სხვა სახის ნარჩენები უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში;</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები უნდა შეგროვდეს და სათანადოდ განთავსდეს შეთანხმებულ ადგილებში;</p> <p>(d) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(e) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება (გარდა აზბესტისა).</p>
	მასალების მიწოდება	<p>a) გამოყენებული უნდა იქნეს ინერტული მასალის არსებული კარიერები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>b) ინერტული მასალის ახალი კარიერის ამოქმედების შემთხვევაში, კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>c) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p> <p>d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში;</p> <p>e) ტრანსპორტისათვის საჭიროებისამებრ მოეწყოს სიჩქარის მარეგულირებელი, შემოვლითი გზის აღმნიშვნელი და გამაფრთხილებელი ნიშნები.</p>
E. ტოქსიკური მასალები	აზბესტის განკარგვა	<p>(a) თუკი აზბესტი განთავსებულია ობიექტზე, მასზე ნათლად უნდა იქნას მითითებული, რომ იგი სახიფათო მასალაა.</p> <p>(b) შეძლებისდაგვარად, აზბესტი სათანადოდ უნდა იქნას შენახული და იზოლირებული რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მისი ზემოქმედება.</p>

საქმიანობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი
		<p>(c) აზბესტი გატანამდე (თუკი გატანა საჭირო გახდება) სათანადოდ უნდა დატენიანდეს აზბესტის მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად</p> <p>(d) აზბესტის გატანა და გადაყრა უნდა განახორციელოს უნარიანმა და გამოცდილმა პროფესიონალმა.</p> <p>(e) თუკი აზბესტის მასალა დროებით არის დასაწყობებული, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იქნას მოთავსებული ჩაკეტილ კონტეინერებში და სათანადოდ იქნას ნიშანდებული. გატარებული უნდა იქნას უსაფრთხოების ზომები ობიექტიდან არასანქცირებული გატანის წინააღმდეგ.</p> <p>(f) აზბესტის განმეორებითი გამოყენება დაუშვებელია.</p> <p>(g) აზბესტის საბოლოო გატანა უნდა მოხდეს უახლოეს ოფიციალურ ნაგავსაყრელზე გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და შპს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.</p>
<p>H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>(a) ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო ტერიტორიის სათანადო დაცვა და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საკითხებით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები, ბარიერები და შემოვლითი გზები: აუცილებელია საპროექტო ტერიტორიის ხილვადობის უზრუნველყოფა და საზოგადოების გაფრთხილება ყველა პოტენციური საფრთხის შესახებ; ▪ ტრანსპორტის მოძრაობის შესაბამისი მართვის სისტემა და პერსონალის ტრენინგი, განსაკუთრებით საპროექტო ტერიტორიის მისასვლელად ხელმისაწვდომობისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის თავიდან აცილებისათვის. სამშენებლო ტრანსპორტო მოძრაობასთან გადაკვეთის წერტილებში ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადასასვლელების და გასასვლელების უზრუნველყოფა. ▪ საშუალო საათების დაგეგმვა ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის მონაცემებზე დაყრდნობით, მაგ. ძირითადი ტრანსპორტის მოძრაობის თავიდან აცილება პიკის საათებისა და საქონლის გადაადგილების დროს; ▪ საპროექტო ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობის აქტიური რეგულირება მცოდნე პერსონალის მიერ, საზოგადოებისთვის მოსახერხებელი და უსაფრთხო გასასვლელის შესაქმნელად. ▪ უსაფრთხო და უწყვეტი მიმოსვლის უზრუნველყოფა ოფისებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებლებთან აღდგენითი სამუშაოების პროცესში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნაგებობები ღიაა საზოგადოებისთვის.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მომწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა გადახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა და მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის გამონაბოლქვებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;</p> <p>ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;</p> <p>მიწისქვეშა კომუნიკაციებზე ზემოქმედების/ დაზიანების თავიდან აცილება;</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	<p>სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება;</p> <p>გზის გასწვრივ არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების თავიდან აცილება;</p> <p>ფიზიკური და კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ინერტული მასალების წყარო	მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული	ინერტული მასალის კარიერები	დოკუმენტების ა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი


საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>				<p>ლანდშაფტების დეგრადირების მინიმუმამდე დაყვანა;</p> <p>მდინარის ნაპირის ეროზიის შემცირება, და შეწონილი ნაწილაკებით წყლის დაბინძურების, და ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პროტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, ლაგოდების მუნიციპალიტეტი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.				დაბინძურების თავიდან აცილება	
აზბესტის შემცველი მიწების გამოცვლა	<p>ქვე-პროექტის ტერიტორიაზე არსებული აზბესტის შემცველი მიწები სათანადოდ უნდა იქნას ამოღებული მიწიდან, ნიშანდებული როგორც სახიფათო მასალა და დროებით დასაწყობებული ნებადართულ ადგილას;</p> <p>აზბესტის შემცველი ნარჩენების განკარგვა ხდება კვალიფიციური, გამოცდილი და სპეციალური დამცავი საშუალებებით აღჭურვილი პროფესიონალების მიერ; მიღებულია სპეციალური ზომები ამ მასალის არასანქცირებული გატანის წინააღმდეგ;</p> <p>აზბესტის შემცველი ნარჩენების საბოლოოდ გატანა ხდება გარემოს და ბუნებრივი რესურსების</p>	სამშენებლო ტერიტორია;	დოკუმენტების და სამუშაოების ინსპექტირება	სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში	<p>ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან აცილება</p> <p>მუშახელის ჯანმრთელობის დაცვა</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	დაცვის სამინისტროსთან და შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე					
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	<p>მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;</p> <p>მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა.</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
საოპერაციო ფაზა						
რეაბილიტირებული გზის მოვლა-პატრონობა	<p>სათანადო საგზაო ნიშნების დაყენება მოძრაობის უსაფრთხოებისათვის;</p> <p>გზის შეკეთების სამუშაოების წარმოებისას შესაბამისი მონაკვეთების მონიშვნა;</p> <p>გზის შეკეთების სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ასფალტის და სხვა ნარჩენების განთავსება გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.</p>	რეაბილიტირებული გზა	ინსპექტირება	მოვლა-შენარჩუნების სამუშაოების წარმოების დროს	საგზაო შემთხვევებისა და მოძრაობის შეფერხების თავიდან აცილება	ლაგოდების მუნიციპალიტეტი

დანართი 1: ობიექტის რუკა



დანართი 2: სარეაბილიტაციო გზის ფოტოები



25 სექტემბერი, 2015 წელი

სოფ. ცოდნისკარი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი (RMIDP II)

სოფლების ცოდნისკარი-თელა-პატარა გორის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის

გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა

2015 წლის 25 სექტემბერს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფელ ცოდნისკარის საჯარო სკოლის შენობაში გაიმართა სოფლების ცოდნისკარი-თელა-პატარა გორის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი ბოკერია;

სოფელ ცოდნისკარის, თელას და პატარა გორის მაცხოვრებლები:

ნონა გელაშვილი, ქეთევან ნოზაძე, ელენე აბრამიშვილი, იამზე ხუელიშვილი, თენგიზ ტაბატაძე, ლევან ჭოტაშვილი, ირინე გოგოლაძე, ზაურ ქვრივიშვილი, მერაბ იაკობაშვილი, შუბითიძე ამბრი, გოგოლაძე ვასილი, ტაბატაძე მერაბი, გელაშვილი გურამი, გოგოლაძე ვალერი, ნოზაძე ბესიკი, კაპანაძე კონსტანტინე, ხიზანიშვილი ავთანდილი, ეკა ლაბეჩიძე, მათა ლიკიაშვილი, თამარ კობერიძე, თამარ მაჭავარიანი, ხათუნა ქმუტაშვილი, ციციხოველიძე შემშენოვი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

თამარ ქარდავა - ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი;

ირაკლი ჯაფარიძე- გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის სტაჟიორი.

შეხვედრა გახსნა ნინო პატარაშვილმა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია ქვე-პროექტების მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. მან საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტებისათვის მომზადებული სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად.

ნ. პატარაშვილმა ისაუბრა გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შინაარსსა და სტრუქტურაზე, მათ შორის, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე და ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები. ნ. პატარაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება ექნება, რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვა საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
როგორც მოგეხსენებათ ზამთარი მოახლოვებულია, მოცემულ სეზონზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება ხელს ხომ არ შეუშლის პროექტით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხიან	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გააჩნია მსგავსი პროექტების, დიდი და საკმაოდ კარგი გამოცდილება, ტენდერის საფუძველზე შეირჩევა კომპეტენტური კომპანია, რომელსაც ექნება კარგი გამოცდილება მოცემულ სფეროში და სწორად დაგეგმავს სამუშაოებს

<p>განხორციელებას და პროექტის ხანგრძლივობის გაანგარიშებისას თუ იქნა გათვალისწინებული ზამთრის სეზონთან დაკავშირებული ხელშემშლელი ფაქტორები?</p>	<p>სეზონების მიხედვით. მკაცრი კლიმატური პირობების გამო, თუ საჭიროება მოითხოვს, სამუშაოები დროებით შეჩერდება და გაგრძელდება იმ ტემპერატურულ რეჟიმში რომელიც დასაშვებია სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.</p>
--	---

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება პროექტის განხორციელების მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ ცოდნისკარი-თელა-პატარა გორის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დასრულდება დროულად.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი სპეციალისტის ნინო პატარაშვილის მიერ.

25 სექტემბერი 2015.

ფოტოები:



დამსწრეთა სია:

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი (RMDP)

სოფელ ცოდნისკარი-თელა-პატარაგორის გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტი


გარემოს დაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა

25 სექტემბერი 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/მოვალაქე	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	ნონა გელაშვილი	თელა სკოლა სოფელი	595-37-17-58	
2.	ქეთევან ნოზაძე	თელა სკოლა სოფელი	595-85-67-99	
3.	ელენე ამბოშვილი	თელა სკოლა სოფელი	595-97-15-30	
4.	იამბე ხუციშვილი	თელა სკოლა სოფელი	595-38-18-89	
5.	გიორგი ნიკიძე	ს.გ. ზრდა-ქვეყნის	599 77-38-18	
6.	მეზიაზ ჯაფარიძე	თელა სკოლა სოფელი	577 31-62-22	
7.	ლევან ჭოსტავილი	IT ტექნიკა	577-663-516	

8.	ახაბი პაპიაშვილი	ავტობიუსების კომპანია	599-98-26-40	პ. პაპიაშვილი
9.	ბუხია ჭაბუკიძე	საავტობუსო სამსახური	598-43-06-58	ბ. ბუხიაძე
10.	ბუხია ავთოიძე	საავტობუსო სამსახური	577255460	ბ. ბუხიაძე
11.	ბუხია ავთოიძე	საავტობუსო სამსახური		
12.	ბუხია ავთოიძე	საავტობუსო სამსახური	555121621	ბ. ბუხიაძე
13.	ბუხია ავთოიძე	საავტობუსო სამსახური	59320-66-80	ბ. ბუხიაძე
14.	ბუხია ავთოიძე	საავტობუსო სამსახური	595981517	ბ. ბუხიაძე
15.	ბუხია ავთოიძე	საავტობუსო სამსახური		ბ. ბუხიაძე
16.	ბუხია ავთოიძე	საავტობუსო სამსახური	598710162	ბ. ბუხიაძე
17.	ბუხია ავთოიძე	საავტობუსო სამსახური		ბ. ბუხიაძე
18.	ბუხია ავთოიძე	საავტობუსო სამსახური	551514004	ბ. ბუხიაძე

19.	ՅՏ՝ ՏՅԻԿԻԿ	ՕՂՏՈՒ ԿՆԳՈՒՆ ԼՅՄՏ	577 316 - 256	Յ. ՏՅԻԿԻԿ
20.	ՁԻՆ ՏՆՈՒՄՆԱԿ	ՕՂՏՈՒ ԿՆԳՈՒՆ ԼՅՄՏ	595-44-64-72	ՔՏՈՐՈՒՄ
21.	ՕՂՏՈՒ ՅՈՒՆԻԿԻԿ	ՕՂՏՈՒ ԿՆԳՈՒՆ ԼՅՄՏ	599-48-44-12	
22.	ՕՂՏՈՒ ԲՆԳՆԱԿ	ՕՂՏՈՒ ԿՆԳՈՒՆ ԼՅՄՏ	599 74-27-11	ՕՂՏՈՒ ԲՆԳՆԱԿ
23.	ԵՏՈՒՆ ԲՆԳՆԱԿ	ՕՂՏՈՒ ԿՆԳՈՒՆ ԼՅՄՏ	555-60-63-86	ԵՏՈՒՆ
24.	ԵՏՈՒՆ ԲՆԳՆԱԿ	ՕՂՏՈՒ ԿՆԳՈՒՆ ԼՅՄՏ	591 944650	Ե. ԲՆԳՆԱԿ
25.				
26.				
27.				
28.				
29.				